ოქმი:ო63. 63240892
თარიღი:29/03/2024

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ.სამტრედია 27 მარტი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 27 მარტს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი.

მოწვეული სტუმრები:

1. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“_ს დირექტორი - გიორგი ხელისუფალი.

დღის წესრიგი:

1. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“_ს 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. 2024 წლის 4 მარტის Nგ-63. 63240642 განკარგულების ხარვეზის გასწორების შესახებ.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

3. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (10) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“_ს 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

ირაკლი მელაშვილი - ანგარიშს წარმოგვიდგენს ა.ა.ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“_ს დირექტორი გიორგი ხელისუფალი.

გიორგი ხელისუფალი - წარმოგიდგენთ ააიპ ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“ ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 4 დეკემბერს №-63. 632333820 განკარგულებით კლუბს დაუმტკიცდა 197,50 ათ.ლარი სუბსიდია, რომელიც სრულად გაიხარჯა. მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება 70.44 ათ.ლარი.

2. ჯილდო 2,06 ათ.ლარი.

3. შტატგარეშე თანამშრომელთათვის(სპორტსმენებისთვის)30,60 ათ.ლარი.

4. მივლინება ქვეყნის შიგნით 8,00 ათ.ლარი.

5. კულტურული, სპორტული,საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი 81,00 ათ.ლარი.

6. სხვა ხარჯი 3,70 ათ.ლარი.

7. არაფინანსური აქტივების ზრდა 1.70 ათ.ლარი. კლუბში ფუნქციონირებს გოგონათა და ვაჟთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები, სულ 95 მოსწავლე, რომელთა საწვრთნელ -აღმზრდელობით ვარჯიშებს უზრუნველყოფს 2 მწვრთნელი.

2023 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, ჩვენი კლუბის გუნდები მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატებში და 2023 წელს მიაღწიეს შემდეგ შედეგებს:

1. 2010-11 წწ. დაბადებულ გოგონათა ახალგაზრდული ჩემპიონატი--- 3ადგილი

2. 2008-09 წწ. დაბ.ვაჟთა ახალგაზრდული ჩემპიონატი--- III ადგილი.

3. 2008-09 წწ.დაბადებულ გოგონათა ახალგაზრდული ჩემპიონატი.

4. საქართველოს 34-ე ეროვნული ჩემპიონატი--- მიმდინარეობს და გუნდი გადავიდა შემდეგ ეტაპზე.

5. ქვიშის ხელბურთი--- II ადგილი.

6. ქ. წყალტუბოში - როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში--- II ადგილი.

7. ხელვაჩაურში ომარ ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში-- III ადგილი.

8. ქ. გორში გამართულ ქ.გორის ღვაწლმოსილი ხელბურთელის მ.ჯავახიშვილის

ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირში -- III ადგილი.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინასებით და მხარდაჭერით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ ხელბურთელთა ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-19 საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში. (I ადგილი), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეზობელი ქვეყნიდან, კერძოდ სომხეთიდან და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა გუნდებმა.

კლუბის პერსპექტიული სპორტსმენები ირიცხებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების გუნდში და სხვა ასაკობრივ გუნდებში.

2024 წლის დაგეგმილი ღონისძიებები:

ააიპ ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, ხელბურთის გაჯანსაღება და გაუმჯობესება, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ვაჟებსა და გოგონათა შორის. აგრეთვე საქართველოს მასშტაბით და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნირებში მონაწილეობა. კერძოდ:

1. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ვაჟთა შორის.

2. საქართველოს თასის გათამაშება ვაჟთა შორის.

3. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გოგონათა შორის.

4. საქართველოს თასის გათამაშება გოგონათა შორის.

5. საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის.

6. საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის.

7. მ. ქიშმარიას და ვ. ხელისუფალის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

8. რ. მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

9.ქალაქის სასკოლო ფესტივალი ,,ხელბურთი ყველასათვის“ გოგონებსა და ვაჟებს შორის.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და დადებითად შეაფასეს.

ირაკლი მელაშვილი - პირველ რიგში მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ გიორგის წარმოდგენილი ანგარიშისთვის და მომავალშიც წარმატებები ვუსურვო მათ.

გიორგი ლეჟავა - ერთგულად ემსახურებით თქვენს საქმეს და წარმატებებს გისურვებთ.

ნუგზარ ჯამბურია - მადლობა მინდა გითხრათ და დარწმუნებული ვარ თქვენი აღსაზრდელებიც ისეთი ღირსეული ადამიანები იქნებიან, როგორც თქვენ..

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ზემოაღნიშნული მიიღეს ინფორმაციის სახით.

<u>დღის წესრიგის I I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის NMES 5 24 0000287692 წერილობითი მომართვა.

ირაკლი მელაშვილი - მოგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 მარტის განკარგულება:გ-63. 63240642 -ში სკოლის დასახელებაში შეცდომაა. კერძოდ, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის " ნაცვლად უნდა ეწეროს ,,სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლა". ზემოაღნიშნული ხარვეზი უნდა გასწორდეს.

კომისიის წევრებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი